საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-09/263

----------16---- აპრილი 2018 წ. ქ. ბათუმი

,, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სტუდენტთა გადმოყვანის წესით ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 28 თებერვლის №01-09/132 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სტუდენტთა გადმოყვანის წესით ჩარიცხვის შესახებ" ბსუ–ს რექტორის 2018 წლის 28 თებერვლის №01-09/132 ბრძანების, ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის გ. ჩავლეიშვილის 2018 წლის 10 აპრილის MES 31800395684 და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ა. ცინცაძის 2018 წლის 11 აპრილის MES 81800398794 მოხსენებით ბარათთა საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სტუდენტთა გადმოყვანის წესით ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 28 თებერვლის №01-09/132 ბრძანების დანართ 1-ში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ სტუდენტ ანა ხიმშიაშვილის გრაფა (85-ე) და გიორგი გოგიტიძის გრაფა (18-ე) ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით.

N.	სახელი	გვარი	პირადი ნომერი	საფეხური	აღიარებული კრედიტი	ძირ. საგანმანათ. ერთეული (ფაკულტეტი)	პროგრამა	სწავლის საფასური (ლარი)	სემესტრი
18	გიორგი	გოგიტიძე		ბაკალავრიატი	86	ტექნოლოგიური	მშენებლობა	2250	IV
85	ანა	ხიმშიაშვილი		ბაკალავრიატი	95	ეკონომიკისა და ბიზნესის	მენეჯმენტი	2250	IV

2. წინამდებარე ბრძანება აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში და გამოცემიდან 3 სამუშაო დღის ვადაში წარდგენილ იქნას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

3. ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბრძანებაში აღნიშნულ სტუდენტებს და ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, (ფაკულტეტს-სტუდენტის პირად საქმეში ასახვის მიზნით, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს).

4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ს. ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი,

ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**